სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

CPV კოდი (ძირითადი): 66110000 - საბანკო მომსახურებები.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება (MAX ზღვარი): 105,000,000.00 (ასხუთი მილიონი) ლარი.

მომსახურების გაწევის პერიოდი: 2023 წლის 01 იანვრიდან 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანების საფუძველზე

1. **შესყიდვის ობიექტი:**

შესყიდვის ობიექტია „ფულადი გასაცემელის“ (სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, სოციალური პაკეტი, ფულადი სახის სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა, დევნილის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარება, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ სახელმწიფო პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა დანამატი, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარება და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და/ან შემდგომში არსებული ჩამოთვლილი გასაცემლების შემცვლელი გასაცემელი, რომელიც ავტომატურად მოექცევა „ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების რეგულირების ფარგლებში, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ფულადი გასაცემელი, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს „სააგენტოს“ ადმინისტრირებას, თუ ამ გასაცემლის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) ჩარიცხვისა და „ბანკის“ მიერ „ბენეფიციარებისათვის“(რაოდენობის მიუხედავად) „ფულადი გასაცემლის“ გაცემისათვის/დარიგებისათვის საჭირო შესაბამისი საბანკო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

2. **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება:**

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა **(MAX ზღვარი)** 105,000,000.00 (ასხუთი მილიონი) ლარი.

3. **მომსახურების გაწევის პირობები**

3.1. „სააგენტო“ პერიოდულად (პერიოდულობას განსაზღვრავს „სააგენტო“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით) უზრუნველყოფს „ბენეფიციართა“ მონაცემების მიწოდებას და „ფულადი გასაცემლის“ დარიგებისათვის საჭირო თანხის გადარიცხვას „ბანკის“ საკორესპონდენტო ანგარიშზე.

3.2. „ბანკი“, საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) საბანკო დღის (ამ შემთხვევაში დღეთა ათვლისას, საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან მომდევნო საბანკო დღე ითვლება პირველ დღედ) განმავლობაში უზრუნველყოფს „ბენეფიციართა“ პირად ანგარიშზე შესაბამისი თანხების განთავსებას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3.3. „ფულად გასაცმელის“ თანხების საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხვამდე არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე „სააგენტო“ უზრუნველყოფს „ბანკისათვის“ „ფულად გასაცმელის“ მიმღებ „ბენეფიციართა“ მონაცემების წარდგენას/მიწოდებას, ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

3.4. „ბანკი“ უზრუნველყოფს „ბენეფიციარისათვის“ მის კუთვნილ ანგარიშზე არსებულ თანხებზე ხელმისაწვდომობას (როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების, ფილიალებს/სერვის ცენტრებს, პოსტტერმინალების და ბანკომატების საშუალებით), „ფულადი გასაცემლების“ თანხების განთავსებისთანავე.

3.5. „ბენეფიციარის“ მოთხოვნის შემთხვევაში, „ბანკი“ „ბენეფიციარისთვის“ უსასყიდლოდ უზრუნველყოფს მის პირად ანგარიშზე ჩარიცხული „ფულადი გასაცემლის“ ავტომატურ რეჟიმში გადატანას/გადარიცხვას (შემდგომში - „ვადიანი საგადახდო დავალება“) „ბანკში“ ან/და საქართველოში მოქმედ სხვა საბანკო დაწესებულებაში გახსნილ „ბენეფიციარის“ პირად ანგარიშზე, იმის გათვალისწინებით რომ „ბანკი“ უფლებას იტოვებს „ვადიანი საგადახდო

დავალების“ შესრულებამდე „ბენეფიციარის“ პირად ანგარიშზე ჩარიცხული თანხა მიმართოს „ბანკის“ მიმართ „ბენეფიციარის“ მიმდინარე დავალიანების სრულად დასაფარად, შესამცირებლად ან/და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად, რის თაობაზეც „ბანკი“ ვალდებულია გააფრთხილოს „ბენეფიციარი“, თუ აღნიშნული გაფრთხილება არ არღვევს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

3.6. პუნქტი 3.5. შესაბამისად, „ბანკის“ მიერ „ვადიანი საგადახდო დავალების“ შესრულება უნდა იყოს ვადიანი და მისი მოქმედება არ უნდა აღემატებოდეს ზედიზედ 6 (ექვსი) თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ „ბანკი“ ვალდებულია შეწყვიტოს „ვადიანი საგადახდო დავალების“ შესრულება და „ფულადი გასაცემლის“ თანხის გაცემა მოახდინოს მხოლოდ თავისი საფილიალო ქსელის მეშვეობით. შეწყვეტილი „ვადიანი საგადახდო დავალების“ განახლება შესაძლებელია მხოლოდ „ბენეფიციარის“ მიერ „ბანკისათვის“ მიმართვის საფუძველზე, აღნიშნულ შემთხვევაში განახლებული „ვადიანი საგადახდო დავალების“ შესრულება განხორციელდება 3.5. პუნქტით განსაზღვრული პირობებით.

3.7. 3.5. და 3.6. პუნქტებით გათვალისწინებული „ვადიანი საგადახდო დავალების“ მიღებისას სავალდებულოა „ბანკის“ მიერ განხორციელდეს „ბენეფიციარის“ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით იდენტიფიკაცია.

3.8. 3.5. და 3.6. პუნქტებით გათვალისწინებული „ფულადი გასაცემლის“ თანხების ავტომატურ რეჟიმში გადატანას/გადარიცხვას „ბანკი“ უზრუნველყოფს „ბენეფიციარისთვის“ ყოველგვარი საზღაურის გარეშე.

3.9. „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების გაწევას „ბანკი“ უზრუნველყოფს 2023 წლის 01 იანვრიდან 7 (შვიდი) წლის ვადით - 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.10. „ბანკი“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საკუთარი ქსელის მეშვეობით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებით, „ბენეფიციარის“ მოთხოვნის შემთხვევაში ან საკუთარი ინიციატივით, „ბენეფიციარისთვის“ ყოველგვარი საზღაურის გადახდის გარეშე, ეტაპობრივად არაუმეტეს ექვსი თვის განმავლობაში უზრუნველყოფს ერთჯერადად პლასტიკური ბარათების დამზადებას, გაცემას და შემდგომ მომსახურებას. ასევე, ბარათების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში „ბენეფიციარის“ მოთხოვნისთანავე „ბანკი“ „ბენეფიციარისთვის“ საზღაურის გადახდის დაკისრების გარეშე უზრუნველყოფს ხელახლა პლასტიკური ბარათების დამზადებას, გაცემას და შემდგომ მომსახურებას (აღნიშნული პირობა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე თუ „ბენეფიციარებს“ უკვე აქვთ მომსახურე საბანკო დაწესებულების პლასტიკური ბარათები).

3.11. „ფულადი გასცემლის“ თანხის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, „სააგენტო“ ბანკში წარადგენს მოთხოვნას უკან დასაბრუნებელი თანხის შესახებ ელექტრონული ფორმით. არსებული (გამოვლენილი) მონაცემების საფუძველზე კონკრეტულ თვეში მოთხოვნილი უკან დასაბრუნებელი თანხა (ერთიდაიგივე ოჯახისთვის იგივე პერიოდი, იგივე თანხები), არ შეიძლება განმეორდეს მომდევნო თვის (თვეების) მოთხოვნაში. „ბანკს“ არ აქვს უფლება შეიტანოს კორექტივები „სააგენტოს“ მიერ წარდგენილ სახელობით მონაცემებში ან ინფორმაციაში. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს „სააგენტოს“ წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში.

4. „ბანკის“ მიერ გაწეული მომსახურების თაობაზე მხარეთა შორის ფორმდება ურთიერშედარების აქტი (მიღება-ჩაბარება), რომლის გაფორმების წესები და პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებითა და მისი დანართებით.

5. **გამარჯვებული საბანკო დაწესებულება ვალდებულია:**

5.1. „სააგენტოს“ მიერ ჩარიცხული „ფულადი გასაცემლის“ თანხა განკარგოს მკაცრად განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულებით.

5.2. თანხების განთავსების მიზნით, „სააგენტოს“ მიერ „ბენეფიციართა“ მონაცემების მიწოდებიდან არაუმეტეს 2 (ორი) საბანკო დღის განმავლობაში (მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში), უზრუნველყოს „ბენეფიციარისათვის“ პირადი ანგარიშის გახსნა, ყოველგვარი საზღაურის გარეშე, ან ისარგებლოს „ბენეფიციარის“ უკვე არსებული ანგარიშით.

5.3. „სააგენტოს“ მიერ „ფულადი გასაცემლის“ თანხის საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 (სამი) საბანკო დღეში (ამ შემთხვევაში დღეთა ათვლისას, საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომდევნო საბანკო დღე ითვლება პირველ დღედ) უზრუნველყოს თანხების განთავსება/განაწილება „ბენეფიციართა“ პირად ანგარიშებზე.

5.4. უზრუნველყოს „ბენეფიციარისათვის“ მის კუთვნილ ანგარიშზე არსებულ თანხებზე ხელმისაწვდომობა, „ფულადი გასაცემლების“ თანხების განთავსებისთანავე (როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების, ფილიალებს/სერვის ცენტრებს, პოსტტერმინალების და ბანკომატებს საშუალებით).

5.5. მიაწოდოს „სააგენტოს“ მოთხოვნილი ინფორმაცია „ფულადი გასაცემლის“ თანხების მოძრაობის თაობაზე, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) ან საპატიო მიზეზის არსებობისას არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. თუ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება საჭიროებს 5 (ხუთი) სამუშაო დღეზე მეტს, „ბანკი“ ვალდებულია, ამ ვადაში „სააგენტოს“ წერილობით აცნობოს მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდების თაობაზე, შესაბამისი საპატიო მიზეზის მითითებით.

5.6. „სააგენტოს“ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, „ბენეფიციარების“ ანგარიშებზე „ფულადი გასაცემლების“ თანხები ჩარიცხვის მიზნით „სააგენტოს“ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით გამოუყოს ოვერდრაფტი, სარგებლის გარეშე, მაქსიმუმ 20 მლნ. ლარის ფარგლებში. ოვერდრაფტის დამატებითი ოდენობა და/ან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით მისი გაცემის საკითხი განისაზღვრება მხარეთა შორის ცალკე შეთანხმების საფუძველზე. ამასთან ოვერდრაფტის მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს „ბენეფიციართა“ სიის (ბენეფიციართა მონაცემების) „ბანკისთვის“ მიწოდებამდე. თავის მხრივ, „ბანკი“ ოვერდრაფტს გამოყოფს „სააგენტოს“ მიერ „ფულადი გასაცემლის“ თანხის საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 (სამ) საბანკო დღეში.

5.7. „ფულადი გასაცემლის“ გაცემისთვის განკუთვნილი პლასტიკური ბარათებით (ბარათის ტიპის განსაზღვრა „ბანკის“ პრეროგატივაა) მომსახურება (დამზადება, განაღდება „ბანკის ფილიალებში“) მოახდინოს „ბენეფიციარისათვის“ უსასყიდლოდ.

5.8. „ბენეფიციარებისთვის“ კომუნალური სერვისების გადახდის მომსხურება უზრუნველყოს ნულოვანი ტარიფით.

5.9. ხელი შეუწყოს „სააგენტოს“ ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შემოწმების პროცესში.

5.10. „სააგენტოს“ მოთხოვნის შემთხვევაში გამოყოს უფლებამოსილი წარმომადგენელი (წარმომადგენლები) 5.9. პუნქტის შესრულების მიზნით.

5.11. სოციალური გასაცემლის („ფულადი გასაცემელის“) ფარგლებში „ბენეფიციარებისთვის“ სესხის გაცემა (დაკრედიტება) უზრუნველყოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს გაცემის მომენტში 6 თვიანი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსისა (TIBR6M) და 15 (თხუთმეტი) პროცენტული პუნქტის ჯამურ ოდენობას და არ უნდა

იცვლებოდეს სესხის ვადის ბოლომდე. დაუშვებელია „ბენეფიციარისათვის“ ისეთი დამატებითი ხარჯის დაკისრება, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს ფინანსურ ხარჯს (მაგ. გაცემის ან სხვა ტიპის საკომისიო, პროცენტზე პროცენტის დარიცხვა, პროცენტის დარიცხვამდე დაკისრება/ჩამოჭრა, ჯარიმა და ა.შ.). ამასთან, სესხი უნდა ითვალისწინებდეს სესხის დარიცხული პროცენტის ყოველთვიურ დაფარვას (დაუშვებელია პროცენტის კაპიტალიზაცია მსესხებელთან შეთანხმების გარეშე).

5.12. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის ამოწურვიდან, ან შეწყვეტიდან, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს „სააგენტოს“ იმ „ბენეფიციართა“ ჩამონათვალი, რომელთაც ვადის დასრულების/შეწყვეტის დღისათვის გააჩნიათ „ბანკის“ მიმართ დავალიანება, შესაბამისი დავალიანების ვადის და თანხის მითითებით.

5.13. „ბენეფიციარს“ მისცეს უფლება წინსწრებით, დამატებითი საკომისიოს და ყოველგვარი გადასახადის გარეშე, დაფაროს (რეფინანსირება მოახდინოს) „ბენეფიციარის“ სოციალური გასაცემლის („ფულადი გასაცემელის“) ფარგლებში გაცემული ნებისმიერი სახის დავალიანება (მათ შორის სხვა ფინანსური ინსტიტუტის მიერ). ამასთან რეფინანსირების სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან განხორციელების შემთხვევაში (რაზეც „ბანკისათვის“ წარმოდგენილი უნდა იყოს მისთვისვე მისაღები ფორმით შედგენილი შესაბამისი დოკუმენტი) „ბანკი“ ვალდებულია „ბენეფიციარს“ დაუბრუნოს ან დაფარვისას გაუქვითოს ასეთი სესხის ან/და ავანსის გაცემისას წინასწარ აღებული საკომისიოს ან/და საპროცენტო გადასახდელის რეფინანსირების პერიოდისათვის დარჩენილი (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შემოსავალში არ აღიარებული) ნაწილი.

5.14. პუნქტები 5.11. და 5.13. ძალაშია მომსახურების ხელშეკრურლების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდგომაც, „ბენეფიციარის“ ბანკის მიმართ არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების სრულ დაფარვამდე, რომლის წარმოშობა მოხდა მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

5.15. პუნქტი 5.12 მიხედვით განსაზღვრული „ბენეფიციარების“ დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში „სააგენტოს“ მიაწოდოს ასეთი „ბენეფიციარების“ სია ყოველი თვის დასრულებამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე.

5.16. „სააგენტოს“ მოთხოვნის შემთხვევაში „სააგენტოს“ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს 3.5 პუნქტის მიხედვით გაფორმებული და/ან მოქმედ „ვადიანი საგადახდო დავალებების“ მონაცემები.

5.17. პუნქტი 5.16. მოთხოვნებიდან გამომდინარე 3.5. პუნქტით გათვალისწინებული „ვადიანი საგადახდო დავალება“ ითვალისწინებდეს „სააგენტოსათვის“ ამ საგადახდო დავალების დეტალების შეტყობინების უფლებას/პირობას.

5.18. „ბენეფიციარებისთვის“ საკუთარი ბანკომატებით მომსახურება/სარგებლობა უზრუნველყოს ნულოვანი ტარიფით და მინიმუმ ერთი ალტერნატიული ბანკის ბანკომატებით „ბენეფიციართათვის“ მომსახურების/სარგებლობის ნულოვანი ტარიფით შესაძლებლობა.

5.19. „ფულადი გასაცემლების“ დარიგების პერიოდში, საჭიროების გათვალისწინებით (იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარისთვის შეუძლებელია მომსახურების მიღების ადგილამდე გადაადგილება), უზრუნველყოს „ფულადი გასაცემლის“ „ბენეფიციარისათვის“ ბინაზე მომსახურება (ბინაზე მიტანა), თანხის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 8 (რვა) სამუშაო დღისა.

5.20. „სააგენტოს“ წარუდგინოს „ფულადი გასაცემლების“ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია და/ან დოკუმენტაცია.

5.21. მომსახურების ნებისმიერ ეტაპზე „სააგენტოს“ ხელი შეუწყოს „ფულადი გასაცემლის“ თანხების ჩარიცხვისა და გაცემის მონიტორინგის და/ან თანხების გამოყენების მიზნობრიობის შემოწმებას.

5.22. მსესხებელი „ბენეფიციარის“ გარდაცვალების შემთხვევაში, ბანკმა სესხზე დარჩენილი დავალიანება უნდა ჩამოწეროს ბალანსიდან და არ მოთხოვოს „ბენეფიციარის“ მემკვიდრეს მისი დაფარვა.

6. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სატენდერო პირობებით და „ბანკთან“ გასაფორმებელი ხელშეკრულების შესაბამისად.

7. მოთხოვნები საბანკო დაწესებულების მიმართ:

7.1. საბანკო დაწესებულებას უნდა ფლობდეს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ საბანკო საქმიანობის განხორციელების ნებართვას (საბანკო საქმიანობის ლიცენზია), რომელიც უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით.

7.2. საბანკო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო საქმიანობის მინიმუმ 5 (ხუთი) წლიანი გამოცდილება, აღნიშნულის დასადასტურებლად, პრეტენდენტმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის წერილობითი დადასტურება.

7.3. საბანკო დაწესებულებას, მომსახურების დაწყების პერიოდისათვის (2023 წლის 01 იანვარი) უნდა გააჩნდეს/ფლობდეს საქართველოს ყველა ქალაქსა, რეგიონსა და მუნიციპალიტეტში (რაიონში) საბანკო წერტილებს (რაც მოიცავს ფილიალებს/სერვის ცენტრებს და ბანკომატებს). აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საბანკო წერტილების ადგილმდებარეობების შესახებ, შესაბამისი მისამართების მითითებით. ამასთან, უძრავი ქონების საკუთრების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხოლო სარგებლობის (ქირავნობა, იჯარა, ლიზინგი, უზუფრუქტი და/ან სხვა) შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას გაფორმებული ხელშეკრულებები. იმ შემთხვევაში თუ საბანკო დაწესებულებას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია/ფლობს საქართველოს რომელიმე ქალაქში, რეგიონში ან მუნიციპალიტეტში (რაიონში) საბანკო წერტილებს, მან სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით დადასტურებული გეგმა-გრაფიკი საბანკო წერტილების შექმნის თაობაზე. ამასთან, გეგმა-გრაფიკში საბანკო წერტილების შექმნის საბოლოო თარიღი განსაზღვრული უნდა იყოს არაუგვიანეს 2022 წლის 30 ნოემბრისა.

7.4. საბანკო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს „ფულადი გასაცემლების“ დარიგებისათვის ეფექტური საბარათე ინფრასტრუქტურა.

7.5. საბანკო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს/ფლობდეს რაიონული სერვის ცენტრებიდან ხუთი და მეტი კილომეტრით დაშორებული დასახლებული პუნქტების მობილური სერვის ცენტრებით მომსახურების („ფულადი გასაცემელის“ თანხებისა და საბანკო სერვისების ადგილზე მიღება) და/ან ამ სერვისის დანერგვის შესაძლებლობა, რომლის თაობაზეც სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ და/ან სერვისის დანერგვის გეგმა-გრაფიკი, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7.6. საბანკო დაწესებულებამ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს წინადადება, როგორი სახით უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, „ფულადი გასაცემლების“ დარიგების პერიოდში პიკური ორი-სამი დღის

განმავლობაში დამატებითი დროებითი მომსახურების ცენტრების მოწყობას რაიონებსა და სოფლებში, მაღაზიებსა და სხვადასხვა თავშეყრის ადგილებზე.

7.7. საბანკო დაწესებულების ფილიალებსა და სერვის ცენტრებში განთავსებული უნდა იყოს თვითმომსახურების ტერმინალები ნულოვანი ტარიფის მომსახურებით, რომლის თაობაზეც უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

7.8. საბანკო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს „ფულადი გასაცემლების" დარიგების პერიოდში პიკური ორი-სამი დღის განმავლობაში დამხმარე პერსონალის განთავსება ბანკომატებთან და თვითმომსახურების ტერმინალებთან, რომლის თაობაზეც უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

8. სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები

სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმები	**Min ზღვარი**	**Max ზღვარი**	**ხვედრითი წონა**
თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს			
სატენდერო წინადადების ფასი ლარებში		105,000,000.00	30%
თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებლებს			
სესხის გაცემის მომენტში 6 თვიანი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსზე (TIBR6M) დასამატებელი პროცენტული პუნქტი %		15	70%

9. ანგარიშსწორების პირობები

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ.

9.3.ანგარიშსწორების მიზნებისთვის მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

9.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

10. **ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი**

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების/აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემული საექსპერტო ან/და აუდიტორული, ან/და საშემფასებლო დასკვნით (პრეტენდენტის მიერ, დასკვნასთან ერთად, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად დასადები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას, როგორც ერთეულის, ასევე საერთო ღირებულების მიმართებით.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი მოთხოვნიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

11. **ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია**

11.1. ხელშეკრულების გაფორმებამდე გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო/სადაზღვევო გარანტია, (იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ პრეტენდენტს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო/სადაზღვევო გარანტია 10% ოდენობით). საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

11.2. უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

12. **დამატებითი ინფორმაცია**

12.1. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე.

12.2. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

12.3. შემსყიდველ ორგანიზაციაში (სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში) წარმოდგენილ ყველა დოკუმენტზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

შესრულებული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპი.

12.4. სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით და უნდა მოიცავდეს მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა წინადადებას.

12.5. ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციის ყველა იმ მოთხოვნას, რომელთა შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან/და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა არ არის სავალდებულო. ამასთან, პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადებისას რომელიმე პირობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მისი ქმედება განიხილება როგორც უარი ხელშეკრულების დადებაზე.

12.6. პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „დღგ-ის გადამხდელი პრეტენდენტი სატენდერო წინადადებას წარადგენს დღგ-ის გარეშე ან მისი ჩათვლით, იმისდა მიხედვით, თუ რა მითითებას შეიცავს სატენდერო განცხადება დღგ-სთან დაკავშირებით. პრეტენდენტი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი, სატენდერო წინადადებას წარადგენს დღგ-ის გარეშე, მიუხედავად იმისა, თუ რა მითითებას შეიცავს სატენდერო განცხადება დღგ-სთან დაკავშირებით. თუ სატენდერო განცხადებით გათვალისწინებულია სატენდერო წინადადების დღგ-ის გარეშე წარმოდგენა, პრეტენდენტი სატენდერო წინადადებას წარადგენს დღგ-ის გარეშე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი. ასეთ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ის გადამხდელი, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა. პრეტენდენტის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია ავტომატურად გენერირდება სისტემის მეშვეობით“. ხოლო საქართველოს კანონის საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფინანსური ოპერაციები/ფინანსური მომსახურება დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულია.

შენიშვნა: პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი №6-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

13. ინფორმაცია საკონტაქტო პირის/პირების შესახებ

გიორგი გელაშვილი, 599446144, ggelashvili@ssa.gov.ge
სოფიო მიქაია, 599752497,smikaia@ssa.gov.ge